1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (393)

1973 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (393) ოქტომბერი 1973 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

189. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. რუსთავში, ასპინძისა და ბორჯომის რაიონებში ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

190. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელთა თაოსნობასთან დაკავშირებით სოფლის ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ აბაშისა და ბოგდანოვკის რაიონებში.

განყოფილება მეორე

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. აბრამიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. რ. ტყეშელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ს. დობორჯგინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12196

ქ. მარქსის სახ. სახ. ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა.
რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 ქ. რუსთავში, ასპინძისა და ბორჯომის რაიონებში ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად.

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლებმა დეპუტატობის კანდიდატებს მისცეს განაწესები, რომლებიც ითვალისწინებდნენ რიგ ღონისძიებას მოსახლეობის მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. არჩევნების პერიოდში რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წარედგინა ამომრჩეველთა 45 განაწესი, ასპინძის რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს — 132, ხოლო ბორჯომის რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს — 141 განაწესი. დღეისათვის მთლიანად შესრულებულია: ქალაქ რუსთავში—23 განაწესი, ასპინძის რაიონში—29, ხოლო ბორჯომის რაიონში—95 განაწესი. შესრულების სტადიაშია: ქ. რუსთავში — 14, ასპინძის რაიონში — 17, ბორჯომის რაიონში — 14 განაწესი.

მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციისათვის შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც განხილულ იქნა საბჭოების პირველ სესიებზე. განაწესების პრაქტიკულად განხორციელებაში ფართოდ მონაწილეობენ დეპუტატები და მოსახლეობა.

ქ. რუსთავში კაპიტალურად შეკეთდა მეტალურგთა კულტურის სახლი, კეთილმოეწყო ქიმიური კომბინატის, მეტალურგიული და ქიმიური ბოჭკოს ქარხნების სასადილოები, ქალაქის ქუჩებში დაიდგა სასმელი წყლის შადრევნები, მოწესრიგდა საავტობუსო მარშრუტები და სხვ.

ასპინძის რაიონში მოიხრეშა და კეთილმოეწყო რაიონული მნიშვნელობის და სასოფლო გზები, გადაიჭრა დაბა ასპინძის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი, მთლიანად რადიოფიცირებულია სოფლები ნაქალაქევი და თმოგვი, რეკონსტრუირებულია ხერთვისის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა, სოფელ ტოლშში მდინარე არღუნზე შენდება ხიდი.

ბორჯომის რაიონში გაიხსნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 5 ახალი ობიექტი (ბაკურიანში, ტბაში, ყვიბისში, წაღვერსა და დგვარში), წლის ბოლომდე კიდევ 6 ობიექტი გაიხსნება: დაწესდა ახალი საავტობუსო მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრუტები გვერდისუბანში, ცემსა და წაღვერში, მთლიანად ელექტროფიცირებულია სოფელი ზანავი, მოიხრეშა სასოფლო გზები.

ამასთან, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების ადგილობრივ საბჭოებს ამომრჩეველთა განაწესების განხილვის და შესრულების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებები.

ბორჯომის რაიონის ბაკურიანის სადაბო და ყვიბისის სასოფლო საბჭოებში ამომრჩეველთა განაწესები არ განუხილავთ არც სესიებზე და არც აღმასკომის სხდომებზე, ხოლო გუჯარეთის, გვერდისუბნის სასოფლო, წაღვერის და ახალდაბის სადაბო საბჭოებმა განაწესები განიხილეს მხოლოდ აღმასკომების სხდომებზე.

ასპინძის რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს სესიებზე არ დაუმტკიცებიათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ვადები, არ დაუგზავნიათ ამონაწერები წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის. ასპინძისა და ბორჯომის რაიონების სასოფლო საბჭოების პრაქტიკაში ჩვეულებრივ შემთხვევები, როდესაც აღმასკომების თავმჯდომარეები განაწესების შესრულების საკითხს წყვეტენ ერთპიროვნულად.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი სუსტ კონტროლს უწევს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ამომრჩეველთა განაწესებს.

ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო უბანს და კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს დღემდე არ განუხილავთ ამომრჩეველთა განაწესები და შესაბამისი პასუხი არ გაუგზავნიათ აღმასრულებელი კომიტეტისა და დეპუტატებისათვის.

ასპინძის რაიონში ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა ამომრჩეველთა ზოგიერთი განაწესის განსახორციელებლად. მაგალითად, დღემდე არ არის მოწყობილი მარტივი ტიპის სპორტული მოედნები სოფ. ტოლოშსა და დამალაში, დამატებითი წყლის ონკანები სოფელ ძველში; არ არის გარემონტებული სოფელ თოკის ბიბლიოთეკის შენობა, კეთილმოუწყობელია სამანქანო გზები ზოგიერთ სოფელში და სხვ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა დეპუტატების როლის ამაღლებას ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეში, რის გამოც ზოგიერთი დეპუტატი ინიციატივას არ იჩენს განაწესების შესასრულებლად; ამომრჩევლები ყოველთვის არ არიან ინფორმირებული განაწესების განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამომრჩეველთა განაწესების შესრულება მიიჩნიონ საბჭოების აღმასკომების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად და მიიღონ სათანადო ზომები მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სრულყონ საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობა, განაწესების შესრულებაში აქტიურად ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატები, საწარმო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები;

ბ) გადაჭრით მოთხოვონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ამომრჩეველთა განაწესების შესრულება; ამასთან, რეგულარულად აცნობონ ამომრჩევლებს განაწესების შესრულების მიმდინარეობა;

გ) მეტი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ დეპუტატებს და მუდმივ კომისიებს მუშაობაში, აამაღლონ მათი როლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციის საქმეში, მიაღწიონ იმას, რომ ყველა დეპუტატი აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს საქმიანობაში, მჭიდრო კავშირში იყოს ამომრჩევლებთან, რეგულარულად აბარებდეს მათ ანგარიშს თავისი და საბჭოს საქმიანობის შესახებ;

დ) შეისწავლონ და განაზოგადონ იმ საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომლებსაც აქვთ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მისაბაძი პრაქტიკა; ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი პრესა, რადიო, მოაწყონ თათბირები, სემინარები, დეპუტატის დღე;

ე) საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე, აგრეთვე მოქალაქეთა საერთო კრებებზე (ყრილობებზე) რეგულარულად განიხილონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელთა თაოსნობასთან დაკავშირებით სოფლის ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ აბაშისა და ბოგდანოვკის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აბაშისა და ბოგდანოვკის რაიონების სასოფლო საბჭოები დროულად გამოეხმაურნენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნისა და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელთა თაოსნობას, ორგანიზებულად ჩაატარეს მშრომელთა ყრილობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დასახეს ღონისძიებანი სოფლებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, მოსახლეობის კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, დამნაშავეობის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რიგი სასოფლო საბჭოს აღმასკომი, საზოგადოებრიობასთან ერთად, სათანადო ღონისძიებებს ატარებს სოფლის ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები, სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ზოგიერთი სასოფლო საბჭო სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად ისმენს მშრომელთა ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.

მიღებული ზომების შედეგად ამ რაიონების რიგ. სოფლებში შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. ასე, მაგალითად, ბოგდანოვკის სადაბო საბჭოში, მოსახლეობის კრებაზე მკაცრი კრიტიკის შემდეგ, საკოლმეურნეო შრომას დაუბრუნდა 37 კაცი, რომლებიც რესპუბლიკის გარეთ ეძებდნენ „სარფიან“ სამუშაოს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მიწათსარგებლობის წესების დარღვევის სალიკვიდაციოდ. შემოწმებით გამოვლინდა, რომ აბაშის რაიონის სოფლებში მარანსა და გეზათში, შრომის, ორჯონიკიძის, ლენინის და ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში ცალკეულ პირებს მითვისებული ჰქონდათ 186,5 ჰექტარი მიწა, ხოლო ბოგდანოვკის რაიონში — 28,7 ჰექტარი.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციის და სხვა სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1973 წლის 9 თვეში აბაშის რაიონის ზანათის, წყემის, ძველი აბაშის, ონტოფოს, გეზათის, პირველი მაისის და ნაესაკაოს სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ადგილი არ ჰქონია დანაშაულის არც ერთ შემთხვევას.

სასოფლო საბჭოების აღმასკომები, დეპუტატები და ამხანაგური სასამართლოები საჭირო მუშაობას ეწევიან ოჯახური და მეზობელთა დავის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რის შედეგადაც შემოწმებული რაიონების სოფლებში მათი რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. აბაშის რაიონის პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომში გასულ წელს აღრიცხული იყო ოჯახური და მეზობელთა დავის 14 შემთხვევა, მიმდინარე წლის 9 თვეში კი მხოლოდ ერთი.

სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროპაგანდის, სოფლის ყრილობებზე აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხები სისტემატურად შუქდება ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოგადაცემებში.

მიუხედავად ამისა, აღნშინულ რაიონებში ცალკეული სასოფლო საბჭოების აღმასკომები კვლავ სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან სოფლის ყრილობებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეს.

აბაშის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში გაუარესდა შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს გამომუშავებული კაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეების სავალდებულო მინიმუმი. 1973 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3,2 პროცენტით გაიზარდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებმაც არ გამოიმუშავეს მინიმუმი, ხოლო 0,9 პროცენტით — იმ პირთა რიცხვი, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. სამიქაოს სასოფლო საბჭოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი ვერ გამოიმუშავა კოლმეურნეთა 40,3 პროცენტმა (გასული წლის შესაბამის პერიოდში მათი რიცხვი შეადგენდა 9,2 პროცენტს). ამავე რაიონის კეთილარის, სეფიეთის, ორჯონიკიძისა და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში ბევრი კოლმეურნე თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას.

აბაშისა და ბოგდანოვკის რაიონების რიგ სოფლებში ჯერ კიდევ ხშირია საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა სამართალდარღვევათა შემთხვევები. ზოგიერთ სასოფლო საბჭოში გაიზარდა ცალკეული სახის დანაშაულთა რიცხვი.

მაგალითად, აბაშის რაიონში მიმდინარე წლის 9 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მეტი სისხლის სამართლის დანაშაული იქნა რეგისტრირებული, გაიზარდა სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები, 2 ერთეულით — ავტოსაგზაო, 3 ერთეულით — მიწის ნაკვეთების თვითნებური დატაცების შემთხვევები. თუ 1972 წელს ამავე რაიონის სუჯუნის სასოფლო საბჭოში რეგისტრირებული იყო დანაშაულის მხოლოდ 2 შემთხვევა, მიმდინარე წლის 9 თვეში მათი რიცხვი 5-მდე გაიზარდა.

ზოგიერთი პირი კვლავ განაგრძობს სპეკულაციას სოფლის მეურნეობის პროდუქტებით (პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მცხ. ჯ. ახობაძემ სასპეკულაციოდ შეიძინა 1000 კგ ხურმა, ნორიოს სასოფლო საბჭოს მცხ. შ. ბოკუჩავამ არასწორი გზით შეძენილი 2000 კგ კომბინირებული საკვებიდან 1000 კგ გაყიდა სპეკულანტურ ფასებში, ვ. ხოშტარიამ მიითვისა სოფელ სუჯუნის მეცხოველეობის ფერმის ძროხა).

ბოგდანოვკის რაიონში, მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე, 1972 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა დანაშაულთა საერთო რიცხვი, მათ შორის ხულიგნობის შემთხვევები — ექვსი ერთეულით. ამ რაიონის გორელოვკის სასოფლო საბჭოში ადგილი ჰქონდა წვრილმანი ხულიგნობის 18 შემთხვევას, ტამბოვკის სასოფლო საბჭოში — 10-ს, გონდრიოს და ეშტიის სასოფლო საბჭოებში — 9 შემთხვევას და ა. შ. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ტამბოვკისა და ეშტიის სასოფლო საბჭოებს დღემდე არ შეუსწავლიათ და არ განუხილავთ სოფლების ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. გორელოვკის მცხოვრებ ა. ბოსტანჯიანს (პედაგოგს) ჩამოერთვა სასპეკულაციოდ შეძენილი 38 ლიტრი არაყი. განძის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ა. ისპირიანმა მეურნეობის ტერიტორიაზე უნებართვოდ გათიბა ერთი ჰექტარი სათიბი. სოფელ ეშტიის კოლმეურნეებმა ი. ფენჯოიანმა, მ. რაფაელიანმა, გ. ბათასიანმა და სხვებმა მიიტაცეს 4 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

191 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**:

ემზარ სერაფიონის ძე **კიკაბიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

გიო შალიკოს ძე **ნაროუშვილი** — ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის საშუალო სკოლის მოსწავლე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის:

1. ზურაბ ვიანორის ძე **ანჩაბაძეს** — სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორს.

2. დავით მინას ძე **გამეზარდაშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

3. პარმენ ფარნაოზის ძე **ზაქარაიას** — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორს.

4. გიორგი ალექსანდრეს ძე **თვალჭრელიძეს** — კავკასიის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორს.

5. ბორის არკადის ძე **ლაპინს** — საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს.

6. იონა ანდრიას ძე **მირცხულავას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სერგი ესტატეს ძე ჭილაიას — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის:

მიხეილ მიხეილის ძე ხამზაევს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 ამხ. ი. ა. აბრამიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ივანე ალექსის ძე **აბრამიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ინაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 23 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ამხ. ნ. რ. ტყეშელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. ნინო რაჟდენის ასული **ტყეშელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ამხ. შ. ს. დოგორჯგინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლეულთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დეკანი შალვა სიმონის ძე **დობორჯგინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ოქტომბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **მშენებლობის,** კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ მორიგ სხდომაზე მოისმინა თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ესაკიას მოხსენება რესპუბლიკაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და შეკეთების მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის **წესის, ვადებისა და ფორმების,** აგრეთვე **საგზაო** სამუშაოებში მონაწილეობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.

მიმდინარე წლის გეგმებს კარგად ასრულებენ დუშეთის, დმანისის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, გარდაბნის, მარნეულისა და სხვა რაიონები.

ამასთანავე მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რემონტის გეგმების შესრულების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები. მიმდინარე წლის საგზაო სამუშაოების 7 თვის გეგმები არ შეასრულეს თიანეთის (32 პროცენტი), ყაზბეგის (57), აბაშის (59), ორჯონიკიძის (63), ლაგოდეხის (65), ახალციხის (77), კასპის (74), ზესტაფონის (80), მესტიის (88) და სხვა რაიონებმა.

კომისიის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ: მუდმივი კომისიის წევრი, დეპუტატი მ. ხარაზიშვილი, აბაშისა და თიანეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ა. ნადარეიშვილი და დ. ლომჯარია, კასპის და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები ვ. მერებაშვილი და შ. კაპანაძე, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე ო. შუკაკიძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

კომისიამ საკითხი განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

*

* *

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ჟვანიას მოხსენება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ მუდმივი კომისიის 1972 წლის 27 აპრილის დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

მომხსენებელმა და სხდომაზე გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა პ. ივანოვმა, დ. ნიშნიანიძემ, ლ. ჩხოტუამ, ე. გურჯიშვილმა, აგრეთვე საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. მანჯგალაძემ, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ თ. კანდელაკმა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილემ ა. ჭაბუკიანმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსმა ი. ეფრემოვმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ბევრმა აღმასკომმა და შესაბამისმა სამინისტრომ გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად. მარტო 1972 წელს და მიმდინარე წლის 8 თვეში რესპუბლიკაში აშენდა და რეკონსტრუირებულია 212 ობიექტი, მათ შორის 92 — სოფლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას ძირითადად აწარმოებენ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები.

მარტო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით მიმდინარე წლის 8 თვეში შესრულდა 3.230 ათასი მანეთის სამუშაოები, გეგმა შესრულდა 119 პროცენტით.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ დადგენილების შესრულების საქმეში არის ზოგიერთი ნაკლი.

სამშენებლო ორგანიზაციების სუსტი მუშაობის გამო გასულ წელს ვერ შესრულდა მშენებლობის გეგმები ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხაზით.

საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გასული წლის გეგმის შესრულებაში დარღვევები დაუშვა მშენებლობის სამინისტრომ, რომელმაც სამშენებლო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 62 პროცენტით, ხოლო ძირითად სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა — მხოლოდ 11 პროცენტით.

სამშენებლო გეგმების შესრულებაში სერიოზული ნაკლოვანებებია მიმდინარე წელსაც. მშენებლობის სამინისტრომ იანვარ-აგვისტოს გეგმა შეასრულა მხოლოდ 67 პროცენტით. გეგმის შესრულებაში დიდი ჩამორჩენებია ისეთ ობიექტებზე, როგორიცაა მახინჯაურის, ქობულეთის, ცხინვალის, ხაშურის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები. ქუთაისის, გორისა და გაგრის ავტოტექმომსახურების სადგურები.

დღემდე არ არის გადაცემული საექსპლუატაციოდ ბათუმის ქორწინების სახლი, სოხუმის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკა და ცხინვალის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან უნდა დამთავრებულიყო.

სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა არაცენტრალიზებული დაბანდებების ხაზით მხოლოდ 27 პროცენტით შეასრულა. ჭიანურდება სამტრედიისა და გორის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლებისა და ახალქალაქის სამხაპეს მშენებლობა, ხოლო ივრის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში აბანოს მშენებლობა არც კი დაწყებულა.

ნაკლოვანებებია საყოფაცხოვრებო მომსახურების მშენებარე ობიექტების საშენი მასალებითა და მექანიზმებით უზრუნველყოფის საქმეში. არის შემთხვევები, როდესაც საბჭოების აღმასკომები დროულად არ ათავისუფლებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ასაშენებლად მიწის ნაკვეთებს.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

* *
*

სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა თავმჯდომარის დეპუტატ პ. ჟღენტის მოხსენება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშემოდგომო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ მთელი რიგი რაიონების მეურნეობებმა საშემოდგომო სამუშაოების დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულად და ხარისხოვნად ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს.

15 ოქტომბრისათვის მზრალად მოიხნა 89.895 ჰექტარი, რაც გეგმის 51 პროცენტს შეადგენს; საშემოდგომოდ მოიხნა 162.090 ჰექტარი, რაც 12.622 ჰექტარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 48 პროცენტით.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა ვ. უტიაშვილმა, შ. ვერულაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ეცადაშვილმა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ვ. რევაზიშვილმა აღნიშნეს, რომ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაჩვენებლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მუშაობის ტემპი ჯერ კიდევ დაბალია. ეს განსაკუთრებით ეხება საშემოდგომო თესვას, რომელიც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 პროცენტით ჩამორჩება.

მზრალად ხვნის გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან თეთრი წყაროს, ყვარლის, დმანისის, მარნეულის, ბოლნისის, ახმეტის, ასპინძის, საგარეჯოს რაიონები.

საშემოდგომო თესვის დაბალი მაჩვენებლები აქვთ ახალციხის, ბოლნისის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის და ბოგდანოვკის რაიონებს.

ზოგიერთ რაიონში ირღვევა აგრეთვე სხვა აგროტექნიკური მოთხოვნები: ხვნას არ ატარებენ წინმხვნელიანი გუთნით, დროულად არ შეაქვთ მინერალური სასუქები. ზოგიერთ რაიონში ჩამორჩენაა სათესლე მასალის მომზადებასა და მისი კონდიციის უზრუნველყოფაში.

საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს საჭიროა მრავალწლოვანი კულტურების ნარგავებში სიმეჩხრის აღმოფხვრა, ახალი ბაღ-ვენახების გაშენება. რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის მეურნეობებს აკლია სარგავი მასალა. ციტრუსოვანი კულტურების ნერგების ნაკლებობას განიცდიან, მაგალითად, გალის რაიონის კოლმეურნეობები, მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აკლიათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არა აქვთ სასუქებისა და შხამქიმიკატების შესანახი სათავსები და სხვ.

ცალკეულ მეურნეობებში გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად შესრულებისათვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია სათანადო კონტროლს და დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

განხილული საკითხების გამო მუდმივმა კომისიამ მიიღო დადგენილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 233 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. ტყიბული		1
ასპინძის	რაიონი	7
ახალქალაქის	„	19
ბოგდანოვკის	„	27
გეგეჭკორის	„	13
დუშეთის	„	10
ზესტაფონის	„	8
ზუგდიდის	„	15
თერჯოლის	„	7
ლაგოდეხის	„	20
ლანჩხუთის	„	3
მაიაკოვსკის	„	6
მესტიის	„	16
მცხეთის	„	9
ცაგერის	„	12
ცხაკაიას	„	4
წულუკიძის	„	6
წყალტუბოს	„	21
ხობის	„	6
სამხ. ოსეთის ა/ო		23

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე

(1973 წლის ივლისი-ოქტომბერი)

სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, ბორჯომის, ქარელის, დუშეთის, ბოლნისის, სამტრედიის რაიონული და ფოთის, რუსთავის საქალაქო საბჭოები.

მოსახლეობის სოცუზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ამბროლაურის რაიონული საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა სამედიცინო მომსახურების მდგომაერობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ამბროლაურის, საგარეჯოს, ჩხოროწყუს რაიონული საბჭოები.

მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ლენტეხის, წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყაზბეგის, კასპის, ახმეტის, ცხაკაიას, წალენჯიხის, აბაშის რაიონული და რუსთავის, ზუგდიდის საქალაქო საბჭოები.

სკოლებში 1972-73 სასწავლო წლის შედეგებისა და 1973-74 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ — ცაგერის, ზესტაფონის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ონის, ადიგენის, ბოლნისის, ჩხოროწყუს რაიონული და გორის საქალაქო საბჭოები.

ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ცაგერის, ლანჩხუთის, ახმეტის, ყვარლის, თერჯოლის, ზუგდიდის რაიონული საბჭოები.

მიწათსარგებლობის და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დარგში კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ხაშურის, მახარაძის, ლენტეხის, გორის, ყაზბეგის, წალენჯიხის რაიონული საბჭოები.

რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ — გურჯაანის და სამტრედიის რაიონული საბჭოები.

რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისა და უხეში საკვების დამზადების მიმდინარეობის შესახებ — ბოგდანოვკის, ყვარლის, თიანეთის, თელავის, დუშეთის, აბაშის რაიონული საბჭოები.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრებისათვის მომზადების მიმდინარეობის შესახებ — ბოგდანოვკის, ბოლნისის, წალკის, მესტიის, საჩხერის, თეთრიწყაროს, აბაშის რაიონული საბჭოები.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ — საგარეჯოს, ვანის, გეგეჭკორის რაიონული საბჭოები.

1972-73 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ — გორის რაიონული საბჭო.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილების შუქზე რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის მდგომარეობისა და ახალი ამოცანების შესახებ — ადიგენის, ახალციხის რაიონული და გორის საქალაქო საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობის განაშენიანების მდგომარეობის და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — წითელწყაროს, ბოგდანოვკის, ვანის რაიონული საბჭოები.

საგზაო მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ — მესტიის რაიონული საბჭო.

ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ — ზუგდიდის საქალაქო საბჭო.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ცხაკაიას რაიონული საბჭო.

12196

კ. მარქსის სახ. საქ. სახ. საჯარო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა